№ 2638
ოთხშაბათი,
13 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2638
ოთხშაბათი,
13 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ **სეზონის დასაწყებად და სახსოვრად გიორგი ერისთავისა**, რომლის გარდაცვალებიდანაც 40 წელიწადი შესრულდა, წარმოდგენილი იქნება განსვენებულის პიესები (თითო მოქმედება)

გაყრა, ძუნწი და დავა.

დასასრულ სადღესასწაულო აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე. დირექცია ამხანაგობისა,
შემდეგი წარმოდგენა სახაზინო თეატრში 20 ოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „იულიოს კეისარი". (2—2)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული"

სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.
რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
(ზ. 9—15)
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ"

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.

გ. ტ. მუღნინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ივ. ი. ქიმონტი.—ხირურგია $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე.

ლ. ს. ზიდიშიანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მს. ქალი ე. ძ. ოსხელიანი.—ქალისა და სატკბით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ვ. ა. ზილიდი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. ნ. მონინი.—ქალისა, საბებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ხრ. ვ. [illegible].—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

ბ. ვ. [illegible].—ხირურგია და ორტოპედია ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოსთვის აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში იწვებიან ავადმყოფები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდთან ძველ სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. ნიკოლოზის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—24)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყაზარმის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—33)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—15)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—5)

ექიმი
კ. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. [illegible], № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—15)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელიზაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჯისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—296—17)

საარტისტო საზოგადოების შენობაში პირველხარისხოვანი რესტორანი
«ანონნა»
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე დაუკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დილით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე.
სასტუმროს პატრონი ი. ტ. ბონდარენკო.
(7—346—3)

სანერგე დამყნილი ამერიკული ვაზისა დაიბეჭდა ახალი პრეისკურანტები სანერგისა და მსურველს შეუძლიან გამოიწეროს. ადრესი: Квирилы, Георгію Чивадзе. (10—3822—7)

ქ. ფოთში, ლაზარევის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწავლებლის გვერდით იყიდება მამული ზომით 234 ოთხკუთხი საჟენი, ზედ სახლია 7 თვალიანი კუხნით და საკუჭნაოთი. ფასისთვის მიჰმართეთ პირადად ან წერილით ფოთში, ანნა კვიტაიანისას. (2—3901—1)

სია

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1904 წ. სექტემბრის განმავლობაში.

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
212	მღ. გიორგი ფერაძე	6	—
213	მღ. ალექსანდრე გერსამია . . .	12	—
214	ივანე ზედგინიძე	6	—
215	ანნა ზედგინიძე.	6	—
216	ივანე მაყაშვილი	25	—
217	დიმიტრი მაყაშვილი	25	—
218	ივანე ცეცხლაძე	6	—
219	სიმონ ლოლობერიძე	6	—
220	სპირიდონ ჯორჯიკია	6	—
221	დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილი . .	6	—
		104	—
	სულ 1904 წლის განმავლობაში	1589	—

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

11 ოქტომბერი

ჩიფუ, 10 ოქტომბერი („რეიტერი"). 3 ოქტომბერს იაპონელებმა ხელახლად მიიტანეს იერიში ერლუნშანის გარეთა სიმაგრეებზე. ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა აიღეს რუსის რამდენიმე სიმაგრე და პატარა გორაკი. ლონდონში ფიქრობენ, რომ მოკლე ხანში საერთო შტურმი მოხდება.

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი („რეიტერი"). „ამერიკის გაზეთი" ამბობს, ნიუ-იორკიდან წამოსულმა გემმა მიიტანა ჰამბურგს რუსების ოთხი წყალ-ქვეშ მავალი ნავი, რომელნიც ვლადივოსტოკისთვის არიან დანიშნულნი. ეს ნავები დაშლილია და სპეციალისტებმა უნდა შეაერთონ.

დენჯენესი, 10 ოქტომბერი („რეიტერი"). საღამოს 5 საათსა და 41 წუთზე რუსის ორმა სამხედრო გემმა გაიარა დენჯენესის კონცხის ახლო. ეს გემები სამხრეთისაკენ მიდიოდნენ.

წმ. ეკატერინეს კონცხი. შუაღამეს გაიარა აღმოსავლეთისაკენ რუსის ოთხმა ნაღმიანმა გემმა.

ლონდონი, 10 ოქტომბერი („რეიტერი"). საღამოს გულში მოვიდა მეთევზეთა ფლოტილია და ამბავი მოიტანა, 8 ოქტომბერს ღამე რუსის ესკადრა თავს დაესხა მეთევზეთა გემებსაო; დაიღუპა ორი მეთევზე და ბევრი დაიჭრაო.

ლონდონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი"). გულში მყოფმა მეთევზეთა 50 გემის პატრონებმა შეატყობინეს გარეშე საქმეთა სამინისტროს და საადმირალოს, რუსის ესკადრა თავს დაგვესხაო. მათი სიტყვით, რუსის ესკადრის პირველი ნაწილი 8 ოქტომბერს შუაღამეს მივიდა იმ ადგილს, სადაც ფლოტილია თევზს იჭერდა; დანარჩენმა რუსის გემებმა მიაშუქეს ინგლისელთა გემებს პროჟექტორები და იმავე დროს ყუმბარები დაუშინეს. გემი „კრენ"-ი დაღუპულ იქნა. მოკლულ კაპიტანისა და უფროს აფიცრის გვამები და რამდენიმე დაჭრილი ინგლისელთა გემმა წაიღო გულს. გულს მოვიდა რუსის ყუმბარებისაგან ძლიერ დაზიანებული ორი გემი—„მულმეინ"-ი და „მინო". შიშობენ, რომ ჩაძირულ იქმნა, მეზღვაურებთან ერთად, მეთევზეთა მეორე გემიც.

ლონდონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი"). ინგლისის გაზეთების უმეტესი ნაწილი თავ-დაჭერილად სჯის ინგლისელ მეთევზეთა გემებზე თავდასხმის შესახებ და ამბობს, რუსეთის მთავრობას პასუხს ვერ ვაგებინებთ ამ უაზრო ქცევისათვისაო.

12 ოქტომბერი

ლონდონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი"). „მულმეინ"-ის უფროსმა სთქვა, მეთევზეთა ფლოტილია 9 ოქტომბერს, ღამის პირველ საათზე, იდგა სპურნხედის აღმოსავლეთით, 220 მილის მანძილზეო. თუმცა ბნელოდა და ჯანღი იყო, ფლოტილიიდან შენიშნეს რამდენიმე დიდი გემი. იმ დროს, როდესაც მეთევზენი ესკადრას უყურებდნენ, მოულოდნელად განათლდა ელექტრონის პროჟექტორები და მეთევზეებმა დაინახეს, როგორ მიუახლოვდნენ მათ გემები, რომელნიც ნაღმიან გემებად ჩასთვალეს, და როგორ მოვიდნენ „მულმეინ"-თან. შემდეგ ნაღმიანი გემები შეუერთდნენ ესკადრას, რომელმაც მერე ყუმბარები დაუშინა მეთევზეთა ფლოტილიას. ზარბაზნების სროლამ გასტანა 20 წუთს. შემდეგ ესკადრა სამხრეთით წავიდა. ინგლისის მთავრობის განკარგულებით, ყველა მოწმეს ჩვენებას ართმევენ, რომ გამოირკვეს, როგორ მოხდა ეს საქმე. თევზის მჭერელ გემის უფროსმა და ბევრმა სხვამ განაცხადეს, რომ რუსის ესკადრამ გაიარა ფლოტილიის შუა. ეს ფლოტილია მეთევზის 160 გემისაგან შესდგებოდა. ექვსი გემი აღარა სჩანს. „8 ოქტომბერს, ღამე,—სთქვა გემის უფროსმა,—არაფერი საბუთი არა ჰქონდათ რუსებს ეფიქრათ, რომ იმათ წინაშე არა მეთევზეთა გემები იდგნენ. პროჟექტორები ყველაფერს ანათებდნენ გარეშემო ექვსი მილის მანძილზე". ლონდონში ყველა საოცრად გაკვირვებულია. ჩრდილოეთ ინგლისში ხალხი ამ ამბის გამო ძალიან შფოთავს და ღელავს. ლონდონში მოვიდნენ ორი თევზის მჭერელ გემის უფროსი და რამდენიმე სხვა კაცი, ამათ შორის ერთი მეთევზე გემ „კრენი"-დან არის.

ლონდონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი"). საუტჰამპტონიდან მოსულ გემზე მყოფნი ამბობენ, რომ 10 ოქტომბერს გამოჩნდა რუსის ოთხი სამხედრო გემი, რომელნიც იდგნენ ბარტლონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხუთის მილის მანძილზეო. ესკადრას თან ახლდა ნაღმის ორი ტრანსპორტი, საიდანაც ნავებზე ნახშირი გადაჰქონდათ. პორტსმუტიდან მოსულ გემებს 11 ოქტომბერს უნახავთ შერბურგისკენ მიმავალი რუსის ოთხი ჯავშნიანი გემი.

ლონდონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი"). ინგლისის მთავრობამ ბრძანება გასცა, გადაიღონ ფოტოგრაფიული სურათი ორ მოკლულ მეთევზისა, რომელნიც სიკვდილის დროს ჩვეულებრივ საქმეს აკეთებდნენ და თევზს სწმენდდნენ. მოკლულებს ხელში შერჩათ დანები და თევზი.

რუსის აღმოსავლეთ არმიიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ორივე ჯარი სიმაგრეებს აგებს ერთი მეორეს მახლობლად, სულ 4 ვერსის მანძილზე. უგზოობა ძალიან უჭირვებს ჯარს საქმეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

11 ოქტომბერი

ლონდონი, 11 ოქტომბერი. პარასკევს ღამე წყნარ ოკეანეს რუსის მეორე ესკადრა შეხვდა ინგლისის ნაპირიდან 200 მილის მანძილზე გულის (ინგლისშია) მეთევზეთა ფლოტილიას, რომელიც 50 გემისაგან შესდგებოდა. რუსის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ამ გემებს. ფლოტილიის ზარალის შესახებ ოფიციალური ცნობები არ მოსულა. იციან მხოლოდ, რომ ინგლისელთა გემი „კრენ"-ი დაღუპულია და რამდენიმე სხვა გემი დაზიანებული; არიან მოკლულნიცა და დაჭრილნიც.

ბერლინი, 11 ოქტომბერი. ტოკიოში მყოფი „ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი იუწყება: „კობეს მყოფ საფრანგეთის კონსულს შეატყობინეს, იაპონელებმა მაცუიამას საავადმყოფოდან გამოუშვეს 12 რუსი ინვალიდი, რომელთაც სამხედრო სამსახურის უნარი არა აქვთ. გაანთავისუფლეს აგრეთვე როგორც არა-სამხედრო პირნი—6 დატყვევებული ექიმი, რამდენიმე სანიტარი და კრეისერის „რიურიკ"-ის მოხუცი ხაზინადარიო. იაპონიის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა გამოთხოვების დროს უთხრა რუსის ტყვეებს: „იაპონიის მთავრობა სწუხს, რომ რუსეთ-იაპონიის ომი ასტყდა. იაპონიის მთავრობა მტრულად არ უცქერის რუსეთის ხალხს". კონსული ქებით იხსენიებს იაპონელებს, რომელნიც მეგობრულად ექცევიან რუსის ტყვეებს. განთავისუფლებული ტყვეები მოვიდნენ დარაჯებით კობეს, სადაც საფრანგეთის ელჩის ხარჯით იყვნენ. ტყვეები დღეს შანხაის წავიდნენ.

პეტერბურგი, 11 ოქტომბერი. დღეს ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, ბერძენთა დედოფალმა ოლგა კონსტანტინეს ასულმა და დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ დაათვალიერეს კრონშტადტში პირველ ხარისხის კრეისერი „ოლეგ"-ი და ტრანსპორტი „ურალ"-ი, გამოემშვიდობნენ და კეთილი მგზავრობა უსურვეს.

ხარბინი, 11 სექტემბერი. ამ ბოლო დროს დიდი შეტაკება აღარ მომხდარა. ჩვენი ჯარი ნელ-ნელა წინ მიდის. იაპონელები თან და თან უკან იწევენ.—„ეხო დე შინ"-ი 14 სექტემბრის ნომერში იუწყება, რომ იაპონიაში ცხოვრება ძალიან გაძნელდა, რადგან ყველაფერი გაძვირდაო. კორეიაში იაპონელებს ძალიან უჭირთ მუშების დაქირავება. იაპონელების სურვილით, კორეის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება. იმპერატორი ურჩევს ხალხს, დახმარება აღმოუჩინონ იაპონელებს.

ლონდონი, 11 ოქტომბერი. დღეს საღამოთი მოსულმა მეთევზეთა გემმა „სიგალ"-მა სთქვა, რომ გემი „კრენ"-ი დაზიანებულ იქმნა; გემის უფროსი და ერთი მატროსი მოკლულია; ბევრი მატროსი დაიჭრა. ჩაიძირეს ორი სხვა გემი. „კრენ"-ის გარდა ორი სხვა გემიც დააზიანეს. ერთზე, როგორც ამბობენ, მეზღვაურნი სულ ერთიან დაღუპულან. გარეშე საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ ამბავი მიიღო. გემს „კრენ"-ზე უვნებელი გადარჩა მხოლოდ გემის პატრონის შვილი, რომელიც ლონდონში წამოვიდა მომხდარის შესახებ ანგარიშის წარსადგენად. ზოგიერთი მეთევზეები ამბობენ, რომ რუსებს იაპონიის გემები სდევნიდნენო. ნახევარ საათის განუწყვეტელ სროლის შემდეგ რუსის ესკადრის საფლაგმანო გემს ნიშანი მიუცია. რუსის ესკადრა საჩქაროდ წასულა. მეთევზეთა ოთხი თუ ხუთი გემი მეზღვაურებით სადღაც გამქრალა. ჯერ არ იციან ყველა ამის მიზეზი. ლონდონში ყველა საშინლად აღელვებულია.

ვლადივოსტოკი, 11 ოქტომბერი. გუშინ მოვიდნენ კრეისერის „ნოვიკ"-ის აფიცრები და მეზღვაურნი. დიდისა და ძნელის გზის მიუხედავად, ყველა კარგ გუნებაზეა. ადმირალი სკრიდლოვი სიტყვით მიეგება და სთქვა, რომ მათ მამაცობით და თავ-გამოდებულის ბრძოლით თავიანთი სახელი მსოფლიო საზღვაო ისტორიაში შეიტანესო. დაჭრილნი მორჩნენ, ორის მძიმედ დაჭრილის გარდა, რომელნიც გარდაიცვალნენ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდ ოკეანის მეორე ესკადრა. დიდ ოკეანის მეორე ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს წავიდა. ესკადრამ გერმანიისა, დანიისა, ინგლისის ზღვა გაიარა და საფრანგეთის ნაპირებს მიუახლოვდა... სულ მცირედ ორი თვე მაინც გავა, სანამ ადმირალი როჟდესტვენსკი თავის ესკადრას შორეულ აღმოსავლეთს ჩაიყვანს, მანამდე ვინ იცის, რამდენი მოულოდნელი ამბავი გადაჰხდეს ესკადრას, ვინ იცის, სამხედრო მოქმედების ასპარეზზედაც როგორ წავიდეს საქმე, მაგრამ გაზეთები მაინც დიდის ყურადღებით ეკიდებიან, მრავალ წერილს უძღვნიან დიდ ოკეანის მეორე ესკადრას და დაწვრილებით იკვლევენ შეიძლებს ეს ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს ჩასვლასა და იაპონიის ფლოტთან ბრძოლას თუ ვერაო. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო თანამშრომელმა ბ-ნმა ვ. მ—მაც გრძელი წერილი უძღვნა ადმ. როჟდესტვენსკის ესკადრას და იმისი გემები სულ სათითაოდ აღწერა. ბ-ნი ვ. მ. სწერს:

„დიდ ოკეანის მეორე ესკადრაში 7 საესკადრო ჯავშნიანი გემია: „იმპერატორი ალექსანდრე III", „ბოროდინო", „ორიოლი", „კნიაზ სუვოროვი", „ოსლიაბია", „ნავარინი" და „სისოი ველიკი", 2 ჯავშნიანი კრეისერია: „ადმირალ ნახიმოვი" და „დიმიტრი დონსკოი", 5 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერია: „ოლეგი", „ავრორა", „სვეტლანა", „ჟემჩუგი" და „იზუმრუდი", შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკის იახტა „ალმაზი", 7 საესკადრო ნაღმიანი გემი: „ბეზუპრეჩნი", „ბლესტიაშჩი", „ბოდრი", „ბრავი", „ბუინი", „ბისტრი" და „ბედოვი", 4 მაშველი კრეისერი: „დონი", „კუბანი", „ტერეკი" და „ურალი", 7 სატრანსპორტო გემი: „კამჩატკა", „[illegible]", „კორეია", „კნიაზ გორჩაკოვი", „არგუნი", „კანადირი" და „ირტიში", საავადმყოფო გემი „რუსი" (წინად თავისუფალ ფლოტს ეკუთვნოდა და სახელად „ორიოლი" ერქვა) და თავისუფალ ფლოტის გემები, 2 გემი მაინც: „პეტერბურგი" და „სმოლენსკი". სულ მცირედ ესკადრაში 36 გემი მაინც იქნება; ესკადრას საერთოდ 280 ათასი ტონა წყალ-წყვა აქვს, ესე იგი იაპონიის სამხედრო გემებზე მეტი წყალ-წყვა აქვს. ამბობენ და მართალიც არის, რომ ასეთ დიდ ესკადრას ჯერ ამოდენა უზარმაზარი გზა არ გაუვლია, როგორიც ეხლა ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრამ უნდა გაიაროს. მეტად მძიმე საქმე ჰხვდა წილად ამ ესკადრას; სხვა არა იყოს რა, საკმაოა გავიხსენოთ, რომ ესკადრას გზაში სულ მცირედ 6 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი დასჭირდება. ყველა გემიდან ესკადრაში საბრძოლველად 25 გემზე მეტი არ გამოდგება; დანარჩენი 11 მაშველი გემი გზაში კარგ დახმარებას გაუწევს ესკადრას, ბრძოლაში მონაწილეობას-კი ვერ მიიღებს. მაგრამ არა მგონია, რომ 4 მაშველი კრეისერიც (გერმანიაში ნაყიდი გემებია, გადაკეთებული კრეისერებად) გამოდგეს ბრძოლის დროს. ამ გემებს ჯავშანი არა აქვთ, წვრილი, 3 და 4 დიუიმიანი ყუმბარაც-კი ადვილად გაუხვრევთ გვერდსა; არტილერიაც სუსტი აქვთ (თითოს რამდენიმე $4\frac{3}{4}$ ან 6 დიუმიანი ზარბაზანი აქვს) და ზარბაზნები დაფარული არაა მტრის ყუმბარისაგან. ორიოდე ყუმბარა ადვილად დააზიანებს. მერე, სატრანსპორტო გემები იმდენად ცოტა ჰყავს ესკადრას ასეთის დიდის მანძილისათვის, რომ, ალბად, ამ 4 მაშველ კრეისერსაც დიდ ოკეანეში ქვანახშირის ზიდვა მოუხდება.

ასე რომ ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრაში სულ 21-ღა რჩება ნამდვილი მებრძოლი გემი: 7 ჯავშნიანი, 7 კრეისერი და 7 ნაღმიანი. ეგაა ნამდვილად არ ვიცით, ეს ნაღმიანი გემები ესკადრას ვლადივოსტოკამდე გაჰყვებიან, თუ არა: ბრძოლაში მაგდენ სარგებლობას ვერ მოუტანენ დიდ გემებს, გზაში-კი საქმეს გააჭირვებენ. მაშინები სუსტი და სათუთი აქვთ; ზღვის ტალღას ვერ გაუძლებენ, გზაში ხშირად დაზიანდებიან და დანარჩენ ესკადრასაც ძლიერ დააგვიანებენ. რასაკვირველია, შეიძლება პატარა ნაღმიანი გემები ბუქსირით ატარონ ოკეანეში, მაგრამ ესკადრის 7 სატრანსპორტო გემი სულ

ნაღმიან გემების ტარებას მოუნდება და დიდ სამხედრო გემების ბუქსირით წასაყვანად ტრანსპორტი აღარ დარჩება. ჯავშნიან გემებსა და კრეისერებს-კი 12 ათას მილის მანძილზე ისიც ომის დროს, მგონია, რომ ბუქსირით წაყვანა დასჭირდეთ. დასასრულ, ბუქსირითაც რომ წაიყვანონ, კიდევ შეიძლება, რომ ნაღმიანი გემი ზღვაში დაიღუპოს; გაზაფხულზე, როცა ადმირალ ვირენიუსის ესკადრა რუსეთში ბრუნდებოდა, ნაღმიანი გემი № 221 ხმელთა შუა ზღვაში კუნძულ კრიზთან უზარმაზარ გემს „სარატოვ"-ს მიჰყავდა ბუქსირით, მაგრამ მაინც ჩაიძირა ზღვის ღელვის დროს. ერთის სიტყვით, ნაღმიანი გემები ესკადრას სარგებლობას ბევრს ვერ მოუტანენ და გზაში-კი ძლიერ დააგვიანებენ.

დანარჩენი 14 დიდი მებრძოლი გემი ორ ჯგუფად გაიყოფა; პირველი ჯგუფის გემები ახალი, 6—8 წლის აშენებული გემებია და ნამდვილად გამოდგებიან ზღვაში სამსახურისა და ბრძოლისათვის. ამ ჯგუფს შეადგენენ 5 საესკადრო ჯავშნიანი გემი: „ალექსანდრე III", „ბოროდინო", „ორიოლი", „სუვოროვი" და „ოსლიაბი" და ყველა პალუბა ჯავშნიანი კრეისერი: „ოლეგი", „ავრორა", „სვეტლანა", „ჟემჩუგი" და „იზუმრუდი". მეორე ჯგუფს შეადგენენ ძველი, ბრძოლისათვის გამოუსადეგარი გემები „ნავარინი" და „სისოი ველიკი" და ჯავშნიანი კრეისერები „ადმირალ ნახიმოვი" და „დმიტრი დონსკოი". პირველ ჯგუფიდან 4 ჯავშნიანი გემი „ალექსანდრე III", „ბოროდინო", „ორიოლი" და „სუვოროვი" რუსეთშია აშენებული საფრანგეთში აგებულ „ცესარევიჩ"-ის პლანზე. „ალექსანდრე" და „ბოროდინო" 1901 წ. ჩაუშვეს ზღვაში, „ორიოლი" და „სუვოროვი" 1902 წ., ზღვაში გასასვლელად-კი მხოლოდ წარსულ ზაფხულს დაამზადეს, ასე რომ ამ უზარმაზარ გემების აშენებას თითქმის ექვს-ექვსი წელიწადი მოუნდა. ეს ჯავშნიანი გემები ყველაზე უდიდესი გემებია რუსეთის ფლოტში, თუ იმ გემებს არ დავსთვლით, ეხლა რომ აშენებენ, და თავიანთ წყალ-წყვითა (თითოს 13,516 ტონა აქვს), ჩქარის სიარულით (გამოცდის დროს $17^1/_2$—18 მილი გაიარეს საათში), არტილერიით (თითოს 4 თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი აქვს, 11 ექვს დიუმიანი და 20 სამ დიუმიანი) და სქელის ჯავშნით, არა მგონია იაპონიის საუკეთესო ჯავშნიან გემებს, „მიკაზა"-ს გარდა, დაუვარდნენ. პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრებს მარტო ეს 4 ჯავშნიანი გემიც რომ მიემატოს, რუსის ფლოტის ძალა იაპონიის ფლოტისას გაუთანასწორდებოდა. მაშინ დიდ ოკეანის ფლოტის უფროსს ადმირალ სკრიდლოვს 9 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 3 ჯავშნიანი კრეისერი ეყოლებოდა ადმირალ ტოგოს 5 ჯავშნიან გემისა და 8 ჯავშნიან კრეისერის წინააღმდეგ. ადმირალი ვირენი რომ პორტ-არტურიდან როგორმე გავიდეს, იაპონელებს თავი დააღწიოს, ვლადივოსტოკს მივიდეს და იქ ბრძოლის დროს დაზიანებული გემები რიგზე შეაკეთოს, გაზაფხულზე სკრიდლოვი იაპონიის ფლოტთან გამკლავებას შეიძლებს და ვინ იცის, იქნება გაიმარჯოს კიდევაც.

დიდ ოკეანის მეორე ესკადრის ძალასაც სწორედ ეს ოთხი ჯავშნიანი გემი შეადგენს.

ამას გარდა, ადმ. როჟდესტვენსკის კიდევ ჰყავს დიდი საესკადრო ჯავშნიანი გემი „ოსლიაბია". ეს გემი ჯავშნიან გემებს „პერესვეტ"-სა და „პობედა"-ს ჰგავს და 1898 წელსაა წყალში ჩაშვებული. თუმცა „ოსლიაბია"-ს „ბოროდინო"-ს ტიპის გემებზე გაცილებით სუსტი არტილერია (4 ათ დიუმიანი ზარბაზანი აქვს, 11 ექვს დიუმიანი და 16 სამ დიუმიანი) და თხელი ჯავშანი აქვს (შუბლსა და ბოლოზე სულ არ აკრავს ჯავშანი), მაინც დიდ სარგებლობას მოუტანს ესკადრას; „ოსლიაბია" სწრაფად დადის ($18^1/_4$ მილს გადის საათში), მაღალი ბორტი აქვს და ოკეანის ტალღას კარგად უძლებს.

ხუთივე პალუბა ჯავშნიანი კრეისერიც არას დაუშლის ესკადრას გზაში სიარულისა და ბრძოლის დროს. ამათში ყველას დიდი კრეისერი „ოლეგი" სჯობს; ეს კრეისერი ეს არის ეხლა ააგეს და ყველაფრით შტეტინში (გერმანიაში) აშენებულ კრეისერ „ბოგატირ"-სა ჰგავს. „ოლეგი" მარდი მოსიარულეა, (საათში 23 მილს გადის), ბევრი ქვანახშირი მიაქვს თანა (1,250 ტონა) და ზღვის ტალღასაც კარგად უძლებს, ამიტომ კარგად შეუძლიან მტრის ფლოტის დაზვერვა. თუმცა „ოლეგ"-ს ბორტებზე (გვერდებზე) ჯავშანი არ აკრავს, მაგრამ მაშინები და ქვაბები სქელის ჯავშნითა აქვთ დაფარული (სისქით 2-დან $3^1/_2$ დიუმამდე), შუბლისა და ბოლოს ზარბაზნებიც ხუთ დიუმიან ჯავშნით დაფარულ კოშკები უდგა, ასე რომ „ოლეგ"-ის ზარბაზნების მესამედს მაინც ხანგრძლივ ბრძოლის ატანა შეუძლიან. ერთის სიტყვით, „ოლეგი" იაპონიის ფლოტის ყველა პალუბა ჯავშნიან გემსა სჯობია არტილერიითა (12 ექვს დიუმიანი ზარბაზანი აქვს და 12 სამ დიუმიანი) და სიმარდითა და მხოლოდ ადმირალ ტოგოს ჯავშნიან კრეისერებთან ბრძოლას ვერ შეიძლებს.

დანარჩენი 4 პალუბა ჯავშნიანი კრეისერი „ოლეგ"-ს ვერ შეედრება. „ავრორა", „სვეტლანა", „ჟემჩუგი" და „იზუმრუდი" უფრო პატარა, სუსტი კრეისერებია, მხოლოდ იაპონიის სუსტ კრეისერებთანა და ნაღმიან გემებთან შეიძლებენ ბრძოლას, მტრის დაზვერვას ვერ მოახერხებენ და მარტო სადარაჯოდ გამოდგებიან. ასე რომ 5 პალუბა ჯავშნიან კრეისერიდან მხოლოდ ერთი („ოლეგი") გამოდგება მტრის ფლოტის დასაზვერად, დანარჩენი ოთხი კრეისერი-კი მარტო სადარაჯოდ გამოდგება, თორემ ზღვაში გასვლასა და მტრის ფლოტთან დაახლოვებას ვერ გაჰბედავს. მზვერავ კრეისერების სიცოტავე დიდი ნაკლია; ესკადრა მტრის ფლოტის ამბავს სწორედა და დროზე ვერ გაიგებს და რიგზე ვერ იმოქმედებს; განთქმული ინგლისელი ადმირალი ნელსონი ამბობდა: თუ მზვერავი კრეისერები არა ჰყავს, ესკადრა გზა დაბნეულ კაცსა ჰგავსო.

მართალია დიდი ნაკლია მზვერავ კრეისერების სიცოტავე, მაგრამ დიდ ოკეანის მეორე ესკადრას სხვა უფრო დიდი ნაკლიცა აქვს: ოთხი დაძველებული გემი ჰყავს, არც ბრძოლის თავი აქვთ, არც მტრის დაზვერვისა და დარაჯობისა. „ნავარინ"-სა და „სისოი ველიკი"-ს მარტო სახელი აქვთ ჯავშნიან გემებისა, ნამდვილად-კი ზღვის ნაპირის დასაცველად თუ გამოდგებიან, თორემ სხვა არაფრისათვის მაინც ეს გემები ბალტიის ზღვის ნაპირების დასაცველად ააშენეს და არა დიდ ოკეანეში გასაგზავნად. „ნავარინი" 1891 წელს ჩაუშვეს ზღვაში, „სისოი"—1894 წ. დიდ ოკეანეში ეს გემები სულ არ გამოდგებიან: მეტად დაბალი ბორტები (წყალ ზემოთ სულ 12—13 დიუმი სიმაღლისა) აქვთ, წყალ-წყვაც მცირე აქვთ („ნავარინ"-ს 9,476 ტონა, „სისოი ველიკი"-ს—9 ათასი ტონა), ქვა-ნახშირიც ცოტა მიაქვთ (1000—1200 ტონა). წყნარ ამინდში კიდევ გამოდგებიან როგორმე, მაგრამ ღელვის დროს კი სულ ვერ შეიძლებენ ბრძოლას: წყალი ხელად გაავსებს პალუბას და ზარბაზნების მოხმარება შეუძლებელი გახდება. „სისოი"-სა და „ნავარინ"-ს თითქო საკმაო არტილერია აქვთ, (თითოს ოთხი 12 დიუმიანი ზარბაზანი აქვს, ამას გარდა „სისოი"-ს 6 და „ნავარინ"-ს 8 ექვს-დიუმიანი ზარბაზანი აქვთ), მაგრამ ზარბაზნები არ უვარგათ: ძველი და მოკლეებია. ჯავშანი ხომ უფრო ძველი აქვთ, შუბლსა და ბოლოზე სულაც არ აკრავთ. მაგრამ ყველაზე უდიდესი ნაკლი ამ ჯავშნიან გემებისა ის არის, რომ მეტად ნელა დადიან: გამოცდის დროს საათში $15^3/_4$ მილი გაიარეს, ეხლა კი 10-13 წლის მუშაობის შემდეგ, მგონია, რომ საათში 13 მილს-ღა გაივლიან და დანარჩენ ესკადრასაც საქმეს გაუჭირვებენ: დანარჩენი ჯავშნიანი გემები საათში სულ მცირედ 16 მილს გაივლიან. ამიტომ, მგონია, ამ ორ ძველ გემს ან სულ არ წაიყვანენ შორეულ-აღმოსავლეთს, ან არა და ცალკე გაჰგზავნიან.

ჯავშნიანი კრეისერები „დმიტრი დონსკოი" და „ადმირალ ნახიმოვი"-ც მეტად ძველი გემებია: „დმიტრი დონსკოი" 1883 წელსაა აშენებული, „ნახიმოვი"—1885 წ. ეს ნამდვილი „ნოეს კიდობნებია". თუმცა ეს გემები ორიოდე წლის წინად გადააკეთეს, მაინც არა მგონია, რომ ბრძოლისათვის გამოდგნენ. ისეთი ცუდი ჯავშანი აკრავთ, რომ $4^3/_4$ დიუმიანი ყუმბარაც ადვილად გაანგრევს, ზარბაზნები სულ ახდილი აქვთ, ამიტომ მტერი ადვილად დააზიანებს. „დმიტრი დონსკოი" და „ადმ. ნახიმოვი" არც თუ მტრის დასაზვერად გამოდგებიან. მეტად ნელა დადიან: საათში ბევრი-ბევრი $14^1/_2$—15 მილს თუ გაივლიან. ნახშირიც ცოტა მიაქვთ, ზარბაზნები მხოლოდ საშუალო აქვთ. მგონია, რომ ამ ორ კრეისერსაც „სისოი"-სა და „ნავარინ"-ს მოუმატებენ და ცალკე რაზმად გაჰგზავნიან. იახტა „ალმაზ"-იც ამ რაზმს უნდა მიემატოს, რადგან ესეც ნელა დადის, სუსტი არტილერია აქვს და არა თუ ბრძოლა, მტრის დაზვერაც არ შეუძლიან. უნდა პირდაპირ ვსთქვათ, რომ ამ ნელა მოსიარულე გემებს, შეიძლება ისეთივე ბედი ეწვიოთ, როგორიც „რიურიკ"-ს ეწვია. ბრძოლის დროს უკან დარჩებიან, იაპონელები შემოცვივიან და ზარბაზანს დაუშენენ. დანარჩენი რუსის ესკადრაც, იმის მაგივრად, რომ თავი გაარიდოს მტერსა, იძულებული იქნება, ნელა მოსიარულე გემებს მიეშველოს და მტერს შეებრძოლოს. ამიტომ ეს გემები, სჯობია, შინ დასტოვონ, ან ცალკე რაზმად გაგზავნონ. უამისოდაც ადმირალ როჟდესტვენსკის ძლიერი ესკადრა ეყოლება: 5 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 5 კრეისერი. ბრძოლის დროს გემების გარდა მეზღვაურებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. ადმირალ როჟდესტვენსკის 32 გემზე 13 ათასი მატროსი ჰყავს; ამათგან თითქმის ნახევარი სულ სათადარიგო („ზაპასნოი") მატროსია".

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ დღეს, 13 ოქტომბერს, 12 საათზე, კალოუბნის ეკკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ქართულ თეატრის დამფუძნებლის **გიორგი ერისთავის** სულის მოსახსენებლად.

◆ დღეს, 13 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში იწყება **სეზონი ქართულ წარმოდგენებისა.** პირველ წარმოდგენისთვის დადგმული იქნება პიესები გიორგი ერისთავისა იმის გარდაცვალებიდან 40 წლის შესრულების სახსოვრად.

◆ ოფიციალურის ცნობებით, 9 ოქტომბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა** 4, გარდაცვლილა 3 კაცი.

◆ გუშინ, 12 ოქტომბერს, გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება **საფაბრიკო-საქარხნო საკრებულოსი.** სხვა წვრილმან საკითხებთან ერთად გაირჩა საყურადღებო საკითხი—ქარხნებში მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ საქმის განხილვა კრებას ჯერ არ დაუსრულებია.

◆ **ბაქო.** ბაქოელ ინტელიგენტ ქართველებს კეთილი აზრი დაებადათ. როგორც სხვაგან, ისე ბაქოში მრავალი გაჭირვებული ქართველია, რომელთაც დროზე შველა ეჭირვებათ. სწორედ ასეთ ქართველების საშველად განიზრახა ინტელიგენციამ საქველ-მოქმედო საზოგადოების დაარსება. პირველი კრება მოხდა 9 ოქტომბერს. წაკითხული იქმნა უკვე დაბეჭდილი ნორმალური წესდება, რომელიც შეუცვლელად მიიღო და დაამტკიცა კრებამ. საზოგადოებამ დახმარება უნდა გაუწიოს იმ ღარიბ ქართველებს, რომელნიც ბაქოში სცხოვრობენ მუდამ ანუ დროებით. წესდების მიღების შემდეგ კრებამ აარჩია ხუთი კაცი, რომელთაც უნდა წარუდგინონ წესდება ადგილობრივ მთავრობას და, დამტკიცების შემდეგ, კრება მოახდინონ გამგეობის ასარჩევად.

◆ როგორც **იაფ და უფასო სასადილოებისა და საჩაიების** საზოგადოების ანგარიშიდანა სჩანს, 1903 წლიდან 1904 წლის 1 მაისამდე საზოგადოებას 7000 მან. შეუძენია საკუთარი სახლი, სადაც ამ ჟამად გამართულია იაფი სასადილო და საჩაიე. საანგარიშო წელს საზოგადოების სასადილოთი მუქთი სადილით უსარგებლნია ღარიბ მცხოვრებთ 91,000 ჯერ, ხოლო იაფი სადილით 8,989 ჯერ. კომიტეტს სასადილოსთან ცალკე განყოფილება მოუწყვია, სადაც ღარიბ მოსწავლეებს ზოგს მუქთად და ზოგს ძალიან იაფად ეთმობათ სადილი და ჩაი. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსვლია 16,735 მან. 13 კაპ. და დახარჯვია ამდენივე. საზოგადოებას ვერაზე სასადილო-საჩაიეს განყოფილება გაუხსნია.

◆ ვინც წელს ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში **კენჭს ილებს** და ვისაც არ წარუდგენია სასწავლებლიდან მიღებული მოწმობა, იმან უნდა 15 ოქტომბრამდის წარუდგინოს საკრებულოს ასეთი მოწმობა, რომ შეღავათის უფლება არ დაჰკარგოს.

◆ **ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში** კენჭის ამოღების დროს სამოქალაქო უწყების მხრივ ექიმად დაინიშნა პირველ უბნის საქალაქო ექიმი ბ-ნი ნაუმენკო.

◆ როგორც ადმინისტრაციის ცნობებიდანა სჩანს, ახალციხის მაზრაში წელს **ნაკლები მოსავალი ყოფილა**, პური მოსულა სულ 848,040 ფუთი, ხოლო ქერი—307,160 ფუთი. ეს მოსავალი გამოსაკვებად ძლივს ეყოფათ მცხოვრებთ. პური იყიდება ამ ჟამად 1 მან. 20 კ., ქერი 80 კაპ. ფუთი.

◆ როგორც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ცნობებიდანა სჩანს, **ფილოქსერიან ადგილებად** ცნობილ იქმნენ ტფილისის გუბერნიაში ყველა ვენახები სოფ. დამპალოსა, მეტეხსა, ნიაბსა და სასირეთში. ამას გარდა ფილოქსერიანად იცნეს შემდეგი კერძო ვენახები: სოფ. დამპალოსთან საუფლისწულო უწყებისა—58 დესეტინა, ციხის-ძირში—თავ. ალექ. მუხრან-ბატონისა და გლეხების ყარამან გარდაშვილისა და გოგა ამილადაშვილისა, სოფ. თეზაში—გლეხის იაგორ მზარეულიშვილისა, სოფ. ქსოვრისში—თავ. ბეჟან რატიშვილისა და აზნ. კონსტ. რატიშვილისა, სოფ. ლამის-ყანაში—აზნ. კონსტ. გარაყანიძისა და გლეხ იაგორ მზარეულიშვილისა, სოფ. ქსოვრისთან ლ. ლ. მაკაროვისა და სოფ. ქალიში—თავ. ამილახვრისა და გლეხ გიგა საჭალელისა, ეფრემ საჭალელისა, ნიკოლოოზ ღვინიძისა და ალექსი მელაძის ვენახები. ფილოქსერის მხრივ საეჭვო ვენახებად ცნობილ იქმნენ ყველა ვენახები გორის მაზრის ხიდისთავისა და მეჯვრისხევის ნაწილებში, დუშეთის მაზრის ქსანკისა და მცხეთის ნაწილებში (არაგვის მარჯვენა ნაპირზე). აკრძალულია ყველა ამ ადგილებიდან ვაზისა, ყლორტისა, ყურძნისა და სხვა რისამე გატანა.

◆ დღეს, 13 ოქტომბერს, ტფილისიდან თელავს მიემგზავრება ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესია.** სესიის სხდომები დაიწყება თელავში ხვალ, 14 ოქტომბერს, და გასტანს 20 ოქტომბრამდე. განსახილველად დანიშნულია 10 საქმე.

◆ როგორც თიანეთიდან გვატყობინებენ, ამ ჟამად **საფოსტო გზა** ახმეტიდან თიანეთამდის დიდის წვიმებისაგან ისე წამხდარა, რომ მიმოსვლა შეუძლებელია თურმე. ღამეგავლა საშიშიც კია, რადგან გზაზე მიწის ზვავები ჩამოწოლილა და შეკეთება-გაწმენდას კი არავინ ფიქრობს.

◆ 15 ოქტომბრიდან ავჭალის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონები ივლიან ამ რიგად: რკინის გზის სადგურიდან დილით პირველი ვაგონი გამოვა 6 საათსა და 50 წუთზე, ხოლო ხიდის ქუჩიდან სადგურისაკენ დილისვე 7 საათზე. საღამოთი სადგურიდან გამოვა უკანასკნელი ვაგონი 10 საათსა და 40 წუთზე, ხოლო ხიდის ქუჩიდან სადგურს 11 საათზე.

◆ გუშინ, 12 ოქტომბერს, იაფ და უფასო სასადილოების საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის მოურავს, შუამდგომლობა გაუწიოს საბჭოს წინაშე ფულით შეწევნის შესახებ 1905 წელს.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐ *)

გადავიდეთ ეხლა გ. ერისთავის დრამის თავ. აფხაზურობის ახალგაზრდა წარმომადგენლებზე. ყველაზე უწინარეს აღვნიშნავთ თ. არჩილ დაზნელს, რომელიც თავის შეხედულობით და ცხოვრებით უახლოვდება მამებს. იმათსავით არ უყვარს ფული, ანუ უკეთ არ იცის ფულის ფასი, ცხოვრობს სოფლად, კმაყოფილია იმით, რომ აქვს „პური ღვინო, ძროხა, ცხვარი, ქათამი". იგი სავსებით წარმოგვიდგება წინ ძველებურ თავადიშვილად, როდესაც კარაპეტა მზითევად ერთს ყანწიან ხმალს მიართმევს და ასეთის სიტყვით მიმართავს ხმალს: „შენ გხედავ ხმალო პაპისა ჩემის, ჩემგან შეგშვენდა და მართვა გშვენის! შენით არ იყო ავთანდილ გმირი ამარების სპარსში? ვითა სავეორო მეორედ მოსვლის, მას დასდის ზარი! შენით არ იყო ერეკლის ჯვარი ჩვენა, დასთრგუნა"? უფრო ინტელიგენტური, ახალი ტიპია მიხეილი, თ. ოსოფრე ხარაძის შვილი. მიხეილი ნაყოფია ახალის ცხოვრებისა, ახალ ცხოვრებას ეკუთვნის, თანაუგრძნობს თავის დის სიყვარულს, წინააღმდეგია გარნიკეტელობის, ებრძვება თავისი მეგობარი ზოგი მგრძნობიარე და კეთილი გულისათვის, რომელიც შესაფერს პასუხს ვერ მიიღებს ცხოვრებიდან. თვითონაც კეთილი ადამიანია, მაგრამ გარდა ტკბილის ცხოვრებისა არაფრის დარდი არა აქვს, არაფერზე ზრუნავს, სამხედრო სამსახურშია და სრულიად კმაყოფილიც არის: „საკვირველი არის ეს ჩვენი სამსახური, ამბობს: ყველას ბედნიერი ხასიათი გვაქვს; გინდა ქვეყანა გადატრიალდეს, ჩვენთვის ბურტელი ბუნებული არის! ჩვენი ქართანი ხასიათი სჯობს პოლტობას. საკვირველია, უნდათ რომ ყველა კაცი ანგელოსთ გახდეს!".

მიხეილისთანა კეთილი, უდარდელი, უსაქმური, მოქეიფე და მხიარული თავადები დღესაც ბევრია ჩვენში.

სრულიად ინტელიგენტური (თავის დროის შესაფერისად) ტიპია თ. ივანე დიდებულიძე და თ. ბეგლარ დაზნელი. რასაკვირველია, მაშინ ქართველი ბურჟუაზია ჯერ არ არსებობდა, გლეხები ემოსის უფლის ქვეშ იმყოფებოდნენ, და განათლებულ ადამიანებს მხოლოდ თავად აზნაურობაში შეხვდებოდით. ივანე და ბეგლარი ორივე რუსეთში გაზრდილი არიან, ხოლო პირველს უფრო მეურნეობა-მეურნეობას უნდა მოჰკიდოს ხელი, მეორე უფრო მეოცნებე პოეტია. ივანეს უნდა ბანკიდან ფული აიღოს და ახალი მეურნეობა შემოიღოს თავის მამულში, ზვარიც ახალის სისტემით გააშენოს. ქართული ღვინო არ მოსწონს. „ეტო გლუპოსტ!" ამბობს ქართულ ღვინოზე: „რა ღვინოა, სწორედ კლუკვენი გვასიათ!" სამსახურში შესვლის წინააღმდეგია. „ნეტ, ბრატ, მე მინდა ვიზახეინო; მე სამსახურის თავი არა მაქვსო", ეუბნება კარაპეტას, რომელიც ტყვილად არწმუნებს, სამსახური კარგია, ქრთამებს აიღებო. თავის სინდისით და ზნეობით გაიღებით მადლა დგას თავის ძმაზე—ანდუყაფარს და პავლეზე. გაბრაზდება, როდესაც ძმები ერთმანეთს წაეხვეწებიან ერთის უბრალო მეთაქსეთვის, არ შეუძლია გულგრილად უცქიროს, როგორ უსვინდისოდ ატყუებენ ანდუყაფარი და პავლე მას და ერთმანეთსაც. მაგრამ ივანე მაინც შორს არ გასცილდება თანამედროვე ცხოვრებას, იგი არაფერს ამბობს ბატონყმობის წინააღმდეგ, უბრალო ფიქრიც არ გაუვლის თავში ყმების არაადამიანურის ცხოვრების შესახებ, უნდა მარტო კეთილი მემამულე იყოს. „სასიამოვნოა ჭკვიანს მებატონეს ერთგული მსახური და ყმებით", ამბობს: „ღმერთო! მომეც შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისევ შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა. ჯაკია პოეზია ბიტ დობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ! დაგლოცვიდენ შენი ყმანი!" ჩვენი განათლებულის, ინტელიგენტის ივანესათვის სხვების მონობა, ოფლი, გაუთავებელი შრომა პოეზიაა, სასიამოვნო სურათი, სხვა არაფერი! მის ძმას ანდუყაფარსაც, ძველებურ მებატონეს, სიხარულით აღესებოდა გული, როდესაც გადახედავდა ყანაში მომუშავე ყმებს!..

ივანე დასცინის ქართველებს, „ჯერ საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა, რომანიც არ დაიწერება! რომან ბეზ ლიუბვი—ეტ უჟასნოო!" დასცინის ქართველ ქალებს: „ჩვენთა ქალთა უგრძნობართა, სიყვარულის უმეცართა, ტრფობისათვის არ აქვთ სული, სხვა რისთვისმე უცემსთ გული". მაგრამ არ გავა დიდი ხანი და ეს სიყვარულის მოტრფიალე ინტელიგენტი თავის გულების გასასწორებლად შეირთავს მდიდარ სომხის გაჭრის მზითევიან ქალს, რომელსაც არც კი იცნობს ხეირიანად.

თუ ივანე ასე თუ ისე პრაქტიკული ცხოვრების ადამიანია, ბეგლარი უფრო განყენებულის ხასიათის, მეოცნებე თეორეტიკოსია. ივანეს უკმაყოფილება კერძო ხასიათისაა, ბეგლარის უკმაყოფილებაში ისმის სხვა საზოგადოებრივის ხასიათისა, სხვა საზოგადოებრივის ცხოვრების უკმაყოფილებისა. როგორც კი დაბრუნდება სამშობლოში, ბეგლარი ასე დაგვიხატავს თავის მომავალ ცხოვრებას: „დღეს ვიწყებ ახალ სოფლის ცხოვრებას და მისთა გნებათ ზღვის მღელვარებას. უნდა ვიბრძოლო დედამიწასთან, უნდა ჰბოვო ნაშთი მე სუსტის მკლავით!". უნდა იბრძოლოს, მაგრამ ემინა, „იქნება ერთა, გონების მტერთა, მოსწამლონ ჩემი ნიჭიერებანი!" მწუხარებას აღუძრავს არა მარტო თანამედროვე ქართველი საზოგადოება, რომელმაც შეიძლება მოსწამლოს მისი ცხოვრება, არამედ სევდას მოჰგვრის მთელი კაცობრიობის ბედი და „ბნელი ჭმუნვის გულსა მიყოფინებს". ხედავს გაჩაფხულს, ხედავს, „ქვეყანა იქმა ახალი, მსოფლიო იმოსა მწვანით; ფრინველთ იწყეს თვისობრი სტვენა, ყველას უხარის, ვისაც აქვს ენა". „ვხედავ (ამბობს) სოფელი და ბუნება სულ ჭუბუკდება და მე გვირგვინი დვთისა ქმნილების, გვერდები, გლეჯები და ღდე მაკლდება! არ მაქვს უფლება განცხოველების, მიმოსა კაბა ტანთ განწრფილებისა!" ბეგლარი სწუხს, რომ არ შეუძლია, „გაშალოს ფრთენი სანავარდენი, ნახოს რა მზესა მარავანდედი!" ამის მაგიერ მიწაზედ არის მიკრული, და ჰკვირობს, რად მოგცა ღმერთმა გონება, ნება, თუ ყველაფერი საიდუმლოთ დასრულდებაო. „ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი, ასე სიზმარე თუმცა განქრება, სიცოცხლის სიმი უეცრად სწყდება, კაცი ამისთვის რად იბადება?" ეკითხება თავის თავს მწარედ. მაგრამ არ ჰკარგავს მაინც იმედს და არ მოეცმა სასოწარკვეთილებას, რადგან ხედავს მთვარეს, ვარსკვლავებს, მზეს და „ღვთის ტევს სინდისა, რომ სხვა ქვეყნისთვის არის სამზადისი".

წყრომით და წყევლით მიმართავს ბეგლარი საზოგადოებას, როდესაც ვერავინ მიხვდება, „რომ მისი გული არის დაჭრილი": „მომდურავთ მტერნო, სავსენო შურით, თქვენ არ იყავით დასცინოდით ღიდ ბაირონსა? თქვენ აძეულთ, განაშორეთ მშობლურ სიონსა! ტორკვატო ტასსო? ვერ სცანით ფასი! უწოდეთ შტერი, ჭკვნით შეურაცხვი. თქვენში არ იყო გამოხენსი მოკვდა მშიერი? თქვენ არ სდევნიდით დიდსა დასტეს, იყავით მტერი?" მაგრამ ბეგლარის ასეთი წყრომა და მედიდურობა მოკლებულია საფუძველს. ბეგლარი ემდური თანამედროვე საზოგადოებას, უკმაყოფილოა, ხოლო ნათლად ვერ შეუგნია, თუ რითი უკმაყოფილო. მისი უკმაყოფილება იმ გვარადვე გაუგებარია და ბუნდოვანია, როგორც გაუგებარია და ბუნდოვანია უკმაყოფილება მრავალის დღევანდელის ინტელიგენტისა. ბეგლარს უნდა იბრძოლოს, მაგრამ ბი-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2635.

◆ მეჭურჭეთა ამქრის უსტაბაშმა შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ნიხრის კომისიის დაადგენილებამ თორნის პურის ორ ხარისხად გაყიდვის შესახებ გაჭირვებაში ჩააგდო როგორც მეთორნეები, ისე მცხოვრებნი, რადგან ღარიბ ხალხის უმრავლესობა უფრო მესამე ხარისხის პურს ეტანებათ. მეპურეები ფქვილის ნიხრის მიხედვით პირველ ხარისხის პურს 4 კაპ. ჰყიდიან, ხოლო სამეურნეო პოლიციის აგენტები თხოულობენ პური უსათუოდ 5 კაპ. გაუყიდოთ. სხირტლაძე სთხოვს ქალაქის მოურავს, დაინიშნოს კომისიის სხდომა უკანასკნელ დადგენილების გადასათვალიერებლად.

◆ „წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ დანიშნა მასწავლებლებად დიდ-გომარეთში მელიტონ გობეჩია, ყვალაშმაში—სიმონ ჯორბენაძე და რეხაში—ესტატე ლომიძე.

◆ 10 ოქტომბერს რიყეზე, გაპაშვილის ღვინის სარდაფში, ტფილისის მოქალაქეთ სერგო ანდრეევს, თეოდორე ალექსანდროვს და ალექსანდრე პარტოევს მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც პარტოევმა იძრო ბებუთი და მუცელში დასჭრა ანდრეევი, ხოლო ბარკალში ალექსანდროვი. დაჭრილები მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ მეეტლე ნიკაოზოვმა განუცხადა პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულს, რომ რკინის გზის სადგურზე ჩემ ეტლში ჩაჯდა ორი უცნობი კაცი და მომთხოვეს დიდუბის ბაღებისაკენ წავსულიყავ. როცა ეტლი ქალაქს გაჰშორდა, უცნობებმა მომთხოვეს ფული. ბოროტ-მოქმედებს წაურთმევიათ 4 მან; აუღიათ საათი და თუ რამ სხვა ფასოვანი ჰქონია.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ამ დღეებში უსახელო საზოგადოება ვერის დაღმართსა და კიროჩნი ქუჩაზე შეუდგება საელექტრონო მილების გაყვანას მიწაში. ამისათვის საჭირო იქნება ვერის ხიდის ნაპირებზე ფიცრების აყრა, ხოლო მილების გაკეთების შემდეგ ისევ ისე შევასწორებთო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა განცხადება დესიმონოვის მოედნის მცხოვრებლებისა ბაღის გაშენების შესახებ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ქალაქის მებაღეს და მიწის მზომელს, აღნიშნულ ადგილის ზომა და გეგმა აიღონ და წარუდგინონ ქალაქის გამგეობას.

◆ 11 ოქტომბერს, პოლიციის მე-6 ნაწილში, არუთინოვის ტრაქტირში, წაიჩხუბნენ კასუმ ალაპკერ-ოღლი და გიგო შარმაზანოვი. ამ უკანასკნელმა ჩხუბის დროს იძრო დანა, ზურგში ჩაჰკრა და მოჰკურცხლა საბოტანიკო ბაღისაკენ დასამალავად. ბოროტ-მოქმედი დაიჭირეს. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში იქნა გაგზავნილი.

ქართული თეატრი

ქართველობა უკიდურესობამდე ღარიბია ეროვნულ დაწესებულებათა მხრივ. „წერა-კითხვის საზოგადოება“, სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოება და ქართული თეატრი—აი ჩვენი დაწესებულებანი. პირველი ორი საზოგადოება, თავისდაუნებურად ვერ არის წმინდა ქართული—მათი სკოლები იმავ ტიპისაა, როგორისაც სამინისტროსი ან სასულიერო უწყებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ქართულ ენას ცოტათი მეტი ადგილი აქვს დათმობილი...

მხოლოდ ქართული თეატრია, რომ სავსებით ქართულია, ეროვნულია; გარედან ვერავინ ვერ მოახვევს თავზე უცხო პროგრამას; ქართული თეატრი არ არის იძულებული დაემორჩილოს სხვათა მიერ შემუშავებულ წესს.

ამიტომაც არის, რომ ქართულმა სცენამ, მიუხედავად მრავალგვარ ნაკლისა წარსულში, მიუხედავად გაჭირვებულ მდგომარეობისა, დიდი სამსახური გაუწია ქართულ საქმეს: იმასავით ხალხის თვითშეგნება არც ერთ სხვა დაწესებულებას არ გაუღვიძებია და ხალხსაც, დაბალ ხალხს, გულით უყვარს ჩვენი თეატრი და შეძლების დაგვარად ეხმარება კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეძლება ისე მცირეა, რომ მსახურნი ქართულ სცენისა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. უფრო მაღალი ნაწილი საზოგადოებისა ქართულ თეატრს გვერდს უვლის: ვერ აკმაყოფილებს ქართული სცენა, მისი ესტეტიური გემოვნება უფრო განვითარებულია ხალხისაზე. თეატრის შენახვა კი მხოლოდ საზოგადოების ამ ნაწილს შეუძლია, როგორც უფრო შეძლებულს. გამოდის „Circulus viciosus“, მაგრამ განა მარტო ჩვენში იყო ასეთი მდგომარეობა?

განათლებული ჩეხი უკეთეს ნიადაგზე იყო აზრდილი ყოველ მხრივ: გერმანია ბევრად მაღლა სდგას რუსეთზე, გერმანული თეატრი შეუდარებლად მაღლა სდგას რუსულზე. გამოდის, რომ ჩეხსაც გვერდი უნდა აექცია ეროვნულ თეატრისათვის, რადგან იგი სრულიად არ აკმაყოფილებდა იმის გემოვნებას. ნამდვილად კი სულ სხვას ვხედავთ: ჩეხი გაორკეცებულის სურვილითა და ენერგიით მოეკიდა ეროვნულ საქმეს, არ დაზოგა არც ჯიბე, არც შრომა და დღეს ჩეხის თეატრი ისეთ მდგომარეობაშია, რომ განათლებული საზოგადოება აქველმოქმედო მიზნით აღარ დადის წარმოდგენებზე. სათეატრო შენობაც შესანიშნავი ააგო; მოხდა უბედურება და თეატრი დაიწვა: ორ წელზე იმოდენა ფული შეგროვდა, რომ კიდევ უკეთესი შენობა ააგეს.

ქართველი საზოგადოებაც ეგრე უნდა მოიქცეს; ეს იმისი ზნეობრივი მოვალეობაა, თუ თავის ხალხის მომავალი სწამს.

შარშანდელი სეზონი ისე ცუდათ დამთავრდა, რომ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტი წელს ვერ ჰკიდებს ხელს ანტრეპრიზას, და ეს მძიმე საქმე იკისრა ქართულ დრამის მოყვარულთა კერძო წრემ. ეს პირები გულმოდგინედ შეუდგნენ ნაკისრ მოვალეობის საქმეს და იმედიც აქვთ, უკეთეს ნიადაგზე დააყენონ საქმე. მაგრამ ამისათვის აუცილებლად საჭიროა ქართველ საზოგადოების თანაგრძნობა და, იმედია, წელს ეს თანაგრძნობა არ მოაკლდება ქართულ თეატრს.

რომ საზოგადოებას გაუადვილდეს ამ მოვალეობის შესრულება, ჩვენმა არტისტებმაც მეტი ფხა უნდა გამოიჩინონ და ჩვეულებრივ სიზარმაცეს წელს მაინც უღალატონ, მით უფრო, რომ წარმოსადგენად განზრახულ პიესებში „ძველებურის, ჩვენებურის“ დაუდევრობით ფონს ისე ადვილად ვერ გავლენ, როგორც ასჯერ ნათამაშევ პიესებში.

ქალაქის საქმეები

11 ოქტომბერი.

სამოცდა ხუთი ხმოსანი დაესწრო სხდომას, რასაკვირველია, მხოლოდ იმიტომ, რომ განსახილველ საქმეთა სიაში ქალაქის თავის არჩევანი იყო მოქცეული. ქანდარაში ტევა არ იყო ხალხისა; კარიდორი ისე გაიჭედა, რომ სხდომის დარბაზიდან გასვლა გასაჭირი იყო; მეგაზეთეების სტოლზე გაზეთისათვის სრულიად უცხო პირნი გაჩნდნენ—„კავკაზსკი ლისტოკ“-ისა და „ტელეფონ“-ის წარმომადგენელნი ვართო; იწყინეს ნამდვილ მეგაზეთეებმა, პროტესტი განუცხადეს და ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ საბჭოს მდივანთან თავიანთი ადგილები დაიბრუნეს. სხდომა დაიწყო; ყველა არჩევნების მოლოდინში იყო და, როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა—ამდენ ხმოსნების თავის მოყრას ველარ მოვესწრებით, ბარემ ეხლავ განვიხილოთ თ. ჩერქეზიშვილის შუამდგომლობა ჰაზის ქარხნის გამართვის შესახებაო, ხმოსნების სახეზე უსიამოვნების გრძნობა გამოიხატა.

შეუდგნენ საქმის განხილვას უსიამოთ, უხალისოთ; მიუხედავად ამისა, როგორც ჩვეულებაა, დრო ტყვილად დაჰკარგეს და გადაწყვეტით არაფერი გადაუწყვეტიათ: „უპირატესობის უფლება“ რა არის არ გვესმის, საქმე გადავდოთ, ამ გაუგებარ საგანსაც გავიგებთ და მერე გადავწყვიტოთო. ქალაქის ინტერესებს ხმოსანი, რასაკვირველია, დიდის სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს, ყოველი საქმე „ასჯერ უნდა გაზომოს“, მაგრამ 11 ოქტომბრის სხდომაზე ასეთი „სიფრთხილე“ არაფერ შუაში ყოფილა: დიდი უმრავლესობა ხმოსნებისა მხოლოდ არჩევნებისათვის იყო მოსული და სხვა საქმისათვის არ სცხელოდა.

„ქალაქის თავის არჩევანს უნდა შევუდგეთო“, გამოაცხადა თავმჯდომარემ და ხმოსნებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს. „დაასახელეთ კანდიდატები“-ო, მისცა წინადადება თავმჯდომარემ. აღმოჩნდა, რომ 38 ხმოსანმა დაასახელა კანდიდატად ქრ. ვერმიშევი, 18-მა არ. ბაბოვი, ორმა ნ. თამამშევი, ორმა თ. ვ. მიქელაძე, ერთმა ბ. ოსტროგორსკი და ერთმაც ბ. ნოვიკოვი, ბაქოში რომ იყო ქალაქის თავად; ორი ხმოსანი სულ არავის არ ასახელებდ კანდიდატად—ალბად, ვერავინ ნახეს ამ თანამდებობის ღირსი. თამამშევმა, მიქელაძემ და ოსტროგორსკიმ, რასაკვირველია, უარი განაცხადეს; ნოვიკოვისთვისაც არ დაუდგამთ ყუთი, რადგან თანხმობა არ გამოუცხადებია წინდაწინ. ვერმიშევის მხრივ ასეთი თანხმობა იყო; ბ. არშაკ ბაბოვი თვითონ იყო სხდომაზე და როცა შეეკითხნენ, მოსაფიქრებლად დრო ითხოვა—ეტყობოდა, ძალიან აღელვებული იყო. ბოლოს ბ. ბაბოვმაც განაცხადა სურვილი ყუთის დადგმისა.

გათავდა კენჭის ყრა და თავმჯდომარე კენჭების თვლას შეუდგა: არშაკ ბაბოვს ამოუვიდა 26 თეთრი და 46 შავი და ქრ. ვერმიშევს—45 თეთრი და 27 შავი. ამგვარად ქალაქის თავად აირჩიეს ქრ. ვერმიშევი.

ბ. ვერმიშევი ეგრედ წოდებულ „ახალგაზდების“ პარტიის კანდიდატია, მაგრამ თუ ამოდენა თეთრი მოუვიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ „დვორცოვი ნომრის“ რაინდებიც მის მხარეზე იყვნენ. ეს უკანასკნელები კარგად ცნობილი არიან და ამიტომ, მარტო ესენი რომ ყოფილიყვნენ, მათ გამარჯვებას ნდობის თვალით იშვიათი ქალაქელი შეხედავდა. „ახალგაზდანი“-კი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველ ფიზიონომიის ხალხია და ამიტომაც შეუძლებელია ეხლა ვსთქვათ, რას მოასწავებს მათი გამარჯვება. ვნახოთ, რა მიმართულებას მიიღებს ქალაქის საქმეები ბ. ვერმიშევის ხელმძღვანელობით და მაშინ შეგვიძლიან მსჯარი დავდოთ მის ამომრჩეველ ახალგაზდებსაც.

არჩევნების გათავების შემდეგ თავმჯდომარემ ძლივს გააჩერა ოცდახუთი ხმოსანი, რომ სხდომა განეგრძო. მაგრამ დაუნიშნეს თუ არა ლორის-მელიქოვის სტიპენდია სტუდ. ტერ-არუთინიანს, კანონიერი რიცხვი აღარ იყო და სხდომაც გათავდა.

პრესსა

უცხოეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამას წინად ამიენში (საფრანგეთი) საფრანგეთის მასწავლებელთა კავშირის კრება მოხდა. კრებაში გამოჩენილმა პედაგოგებმა მიიღეს მონაწილეობა.

უცხოელ კორესპონდენტის სიტყვით, ამიენში თავ-მოყრილმა პედაგოგებმა გადასწყვიტეს გონებრივის, მშვიდობიანის საშუალებით შეებრძოლონ კლერიკალთა გამაბრუებელ გავლენას, ბნელი-ნათელით დასთრგუნონ. პირველი საშუალებაა ამ მხრივ ბავშვთა შორის თავისუფალ სჯარჯვევის უნარი განავითარონ, ჯან-საღობა, დამოუკიდებლობა შესძინონ ბავშვის გონებას, რათა იგი თავად შეებრძოლოს ყველა მავნე გავლენას, თავისუფლად გაუმკლავდეს მავნე ცრუ-მორწმუნეობას. როგორც ჯან-საღ სხეულს ადვილად ვერ მოერევა გადამდები სნეულება, ისე ჯან-საღ გონებასაც ვერ დასთრგუნავს, ვერ დასჩაგრავს გადამდები ცრუ-მორწმუნეობა.

ეს პრინციპი ცხოვრების ჭეშმარიტებაა. მშობლები, რომელთაც გონივრულად აღზარდეს თავისი შვილი, აღარ შიშობენ, რომ იგი დაიჩაგრება ცხოვრებაში, ნდობით უცქერიან, კარგად იციან, რომ გონიერი მენავე კარგად გაატარებს თავის ნავს ცხოვრების ზღვაში. მხოლოდ იმ ადამიანს მოელის საფრთხე, ვინც სულითა და სხეულით სხვას, გარეშე ავტორიტეტის მორჩილებაში აღიზარდა. ყოველი შემთხვევა, როდესაც მას დამოუკიდებლად ნაბიჯის გადადგმა დასჭირდება, დავთარს დაუბნევს, კალაპოტიდან ამოაგდებს და სხვის ნებაყოფლობას დაუმორჩილებს, სხვათა ეგოიზმის, თავისკერძოობის მსხვერპლად გახდის. ყავ-ყორანნი უსიცოცხლო, მკვდარ ლეშს ერევიან. თავისუფალ აზროვნება-გონიერებას მოკლებული ადამიანი-კი ნახევრად-უსიცოცხლო, ნახევრად მკვდარია. ეს კარგად იციან ცხოვრების ყვავ-ყორნებმა და ყოველ კუთხეზე სდარაჯობენ თავის მსხვერპლს.

ამიენის კონგრესზე განხილული მეორე საკითხიც დიდ მნიშვნელოვანია: როგორ უნდა შეებრძოლონ საფრანგეთის მასწავლებლები მძლავრ შინაურ სენს—მილიტარიზმს, სამხედრო ინტერესების ბატონობას. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა კონგრესის შემდეგი დადგენილებანი:

სწავლების პროგრამმას საფუძვლად უნდა დაედვას იდეა მშვიდობიანობისა.

სწავლების დროს მცირე ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოდ ბრძოლათა აღწერას, სისხლის ღვრას, რომელსაც ისტორიკოსები ხშირად გმირობის შარავანდედით მოსავენ. უნდა მოსპობილ იქნას სახელოვან მეომართა გაღმერთება და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს კაცობრიობის მშვიდობიან განვითარების კულტურულ ზრდას, ჭკუა-გონების ნაწარმოებს, კეთილ შრომასა და იმის ნაყოფს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ მოღვაწეთა მოქმედებას, რომელთა იდეები ემსახურებოდნენ ადამიანთა შორის ძმურის კავშირის განმტკიცებას.

გეოგრაფიის, დედა-მიწის აღწერილობის სწავლების დროს უმთავრესად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, თუ როგორ დააახლოვა ერთმანეთს სხვა-და-სხვა ხალხნი დედა-მიწის ახალ ადგილების აღმოჩენამ. როგორ განვითარდა დაგანმტკიცდა, ხალხთა შორის ურთიერთობა, რომელიც საბოლოოდ მთელი კაცობრიობის ერთობად, მტკიცე კავშირად უნდა გადაიქცეს.

სამშობლო ისტორიის სწავლების დროს უნდა ჩაენერგოს ბავშვს გულში ის გრძნობა, რომ სამშობლოს სიყვარული სხვა ხალხთა სიძულვილს არ ნიშნავს და კაცობრიობის მიმართ სიყვარულს არ ეწინააღმდეგება.

კონგრესსის საგულისხმიერო და სასიამოვნო დადგენილებანი ნათლად მოწმობს, რომ სადაც სნეულებაა, იქ გონიერი მკურნალნიც ჩნდებიან. მილიტრიზმი კი ერთობ გავრცელებული სნეულებაა საფრანგეთში. ეს საწამლავი, ასე გასინჯეთ, ჰიგიენის, სხეულის მოვლის, სახელმძღვანელოებშიაც ჩააწვეთეს მხედრობის მოტრფიალეთ. საფრანგეთის ზოგიერთ სკოლებში ასწავლიან ბავშვს, შენ სხეულს იმიტომ უნდა მოუარო, რომ იგი შენ კი არ გეკუთვნის, არამედ სახელმწიფოსაო, ე. ი. სხვის საკუთრებას უნდა მოუფრთხილდეო. ბოლოს და ბოლოს ის აზრი უნდა იგულისხმოს ბავშვმა, რომ საფრანგეთს იმისი სხეული გერმანელებზე შურის საძიებლად დასჭირდება.

ბ-ნი ზანგი და მისი ბიბლიოგრაფია *)

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“-ს შესახებ

პატივცემულ მკითხველისათვის ეს მაგალითებიც კმარა. ამითიც საკმაოდ მტკიცდება, თუ ბ-ნი ზანგი რამდენად იცავს „სალიტერატურო თავაზიანობას“. ჩვენ ზოგიერთი სიტყვები აღარ ამოვწერეთ, ისედაც წერილი გაგვიგრძელდა და იძულებული კი ვართ წერილი შევამოკლოთ; მხოლოდ ვიტყვით, რომ ყველა სიტყვა ბ. ზანგს დამახინჯებით ანუ შეცდომით აქვს ამოწერილი: „ადმინისტრატიული“-ს განმარტებაში „უსასამართლო“-ს მაგიერ „უსამართლო“ ამოუწერია; „ასკეტიზმი“ სთვის პირველი განმარტება: „განდეგილობა, ვნებათა დანელება“,—მოუშორებია; „ბანკი“-სთვის შუაში სიტყვა ამოუგლეჯია, მეორე განმარტება კი სრულიად ჩამოუშორებია; „ატომი“-სთვის სიტყვა დაუკლია და სხ. და სხ.

ამ ბიბლიოგრაფიის დასასრულს ბ. ზანგი აცხადებს: „ჩვენი გულითადი სურვილია, ასეთი წიგნი (როგორც ჩემი ლექსიკონია) არასოდეს ხალხში არ გავრცელდეს... ჩვენის ინტელიგენციის დიდი დანაშაული იქნება ხალხის წინაშე, თუ ყოვლიანირად არ შევებრძოლებით ბ-ნის იმედაშვილის ლექსიკონის ხალხში გავრცელებას“ და სხ.

ჰხედავთ, ბ-ნის ზანგის საგულდაგულო სურვილი რა ყოფილა? ხედავთ, რისთვის ამახინჯებდა ჩემს განმარტებას, რომ ხალხში მისი გავრცელებისათვის ხელი შეეშალნა. მერე რისთვის, ბ-ნო ზანგო, რისთვის?

თუ ჩვენის ხალხისათვის მაგრე გული გეწვებათ და იმდენი ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე შეგწევთ, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ ჩემის წიგნის ხალხში გავრცელებას, თქვე დალოცვილო, რატომ არ ეწინააღმდეგებით „სიზმრის ახსნას“ და სხვა მისთანათა გავრცელებას, რომლებიც ჩვენს ხალხს ზნეობრივად და გონებრივად ათახსირებენ? ხოლო ჩემს წიგნს ხსენებულ წიგნის ჭუმქართან რა კავშირი აქვს?

თქვენ განათლებულ ქართველთ მოუწოდებთ ლექსიკონის შესადგენად და მათი შემწეობითა ცდილობთ ვითომდა იმედაშვილისაგან „გაფუჭებულ“ საქმის გასწორებას. მაგრამ იმედაშვილმა რითი გაგიფუჭათ საქმე?—ნუთუ იმითი, რომ, სხვა არა იყოს-რა, უცხო სიტყვათა ლექსიკონის მასალა მოგიგროვეთ (თქვენ ხომ მაინც არა გჯერათ, რომ ვითომც მას, იმედაშვილს, შეეძლოს ლექსიკონის შედგენა!) ანბანთა რიგზე დაგილაგეთ და დღეის შემდეგ გაადვილდება ამგვარი ლექსიკონის შედგენა?

ერთი კითხვაც. ჩემი ლექსიკონი შეიცავს 1126 სვეტს, თითქმის ათი ათასს სიტყვას და ნუთუ ამოდენა წიგნსა და ამდენს სიტყვაში ათასიოდე სიტყვა მაინც ვერ აღმოაჩინეთ ყურადღების ღირსი, ბ. ზანგო?

ვიმეორებ, მე შეუმცდარი არა ვარ და ვინ არის შეუმცდარი? ალბად, ბ-ნს ზანგს ეცოდინება პირველად გამოცემული ისეთი ლექსიკონი (რუსულად ფრანგულად, ინგლისურად, რა ენაზედაც უნდა, სულ ერთია)! რომ უშეცდომოთ დაებეჭდნოთ.

იოსებ იმედაშვილი

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2637.

დოს და ბოლოს არაფერს არ ერჩის, და თუ ჯერ არზის ქაღალდზე არზის მაგიერ ლექსს დაუწერს მამას, სასამართლოებში არ გაეგზავნება მამას, „ატკაზ“-ს არ ეტყვის ბოქაულს, ფული არ მმართებსო, მერე არზასაც შეადგენს და ქრთამსაც წაუღებს სტრიაპჩის მამისაგან, რომელსაც საჩივარი აქვს ბეგლარის სასიმამროსთან.

ივანე და ბეგლარი დღევანდელი ქართველი ინტელიგენტების პროტოტიპები არიან. მათი უნიადაგობა, უპრინციპობა, სიტყვაობა და უსაქმურობა გაუბედაობა, დაქანცულობა სულიერი, აზრების ბუნდოვანობა,—დღევანდელი ინტელიგენციის თვისებებია. უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე კიდევ ერთი თვისება ივანესა და ბეგლარისა, რომელიც დღევანდელ ინტელიგენციაში კიდევ უფრო განვითარდა: ქართული ენის დამახინჯება რუსულის სიტყვებით.

თანამედროვე ახალგაზდა ქალი გ. ერისთავს ორი ჰყავს დახატული და ისიც მკრთალად: ტასო („შეშლილში“) და ნინო („დავაში“). ტასო და ნინო პირველნი განაცხადებენ ჩვენს საზოგადოებაში სიყვარულის თავისუფლებას, ქალის თავისუფლებას, ქალისა და კაცის თანასწორობას, მაგრამ მეტად სუსტია მათი ხმა, უღონონი არიან თვითონ და არ შესწევთ ძალა, რომ შეებრძოლონ და გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგეებს. ტასო იმდენად განვითარებულია, რომ აღიარებს: დიდებული გრძნობაა სიყვარული და ქალი უნდა მიათხოვდეს მხოლოდ საყვარელს ადამიანს, რომელსაც თვითონ აფასებს, და არა იმას, რომელსაც მშობლები აურჩევენ მისდა დაუკითხავად. ტასოს სიტყვით, „იგრძენით მაშინ ქალის ცხოვრება, თუ სატრფო თვისი არ ეყვარებაო“. ვიდრე ბნელით იყო მოცული ჩემი გონება, არ ესმოდა ფასი სიყვარულისა, „მაგრამ ეხლა კი მე ტრფობით გამაყობ!“ ტასოც ძველ კოლხიდელ მეფესავით ამბობს: „ტრფობა არს ქალთა ბედი და წერა... კაცთ აქვთ სრულიად სოფლის უფლება, ტახტი, პატივი და განდიდება. ტრფობა არს ქალთა დანიშნულება, ხსვა ამა სოფლის რა გვეკუთვნება“. ეს ადგილი გასაგებია: როდესაც ქალი გამოდის შეგნებული ცხოვრების ასპარეზზე, იგი ყველა უფლებაზე უწინარეს თხოულობს სიყვარულის უფლებას. სამწუხაროდ, დღესაც არა გვყავან მებრძოლნი, თავისუფალნი ქალები (ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი დრო გაივლის, ვიდრე გვეღირსებოდეს ჩვენ მაგდა!) და ამ 60—70 წლის წინად ხომ სრულებით არ გვეყოლებოდა მებრძოლი ქალი. ტასომ ვერ შესძლო ბრძოლა თავის საყვარელისათვის; ხოლო მაინც არ ურიგდება თავის ბედს და თავს იხრჩობს. ნინოს ბედი-კი შემთხვევით კარგად მოეწყობა, და ის მითხოვდება საყვარელს ადამიანს. თუ არა შემთხვევა, უეჭველია, ნინოც ვერ გამოიჩენდა აქტიურს ძალას თავის პირობების დასაცველად.

ჩვენ ზევით დავახასიათეთ ქართველი თავადაზნაურობა. გ. ერისთავის დროს უკვე დაწყობილი იყო ამ წოდების ხრწნა. ჩვენი თ. აზნაურობა არ იყო მიჩვეული შრომასა და გარჯას, შინაური ბატონ-ყმური წარმოება და მეურნეობა-კი საკმარისი არ იყო მათ სარჩენად და დღითიდღე უფრო და უფრო უვარგისი ხდებოდა; გაბატონდა ფული ფული შეიქნა ყველაფრის საშუალება. თ. აზნაურობას რაკი შრომით და გონებით არ შეეძლო ამ ფულის შოვნა, რამე საშუალება უნდა გამოენახა მის საშოვნად: ეს საშუალება იყო მამულის გაყიდვა ან ფულის სესხად აღება მამულის დაგირავებით. თავად-აზნაურობის ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად მზად იყვნენ ვაჭრები (სომხის ვაჭრები, რადგან ქართლ-კახეთში დიდი ხნიდანვე ვაჭრობა სომხების ხელში იყო მარტო), რომელნიც იმდენად უფრო და უფრო მდიდრდებოდნენ რამდენად ქართველი თავად აზნაურები ახალ ცხოვრებისათვის მოუმზადებლობისა გამო უფრო და უფრო იღუპებოდნენ. თ აზნაურობის დაცემასა და განადგურებასთან ერთად იზრდებოდა და მტკიცდებოდა ბურჟუაზია. მიკირტუმ ტრდატოვი, მარტირუზ რიბნიკოვი, კარაპეტა დაბადოვი, ივან მიკირტიჩ მანასოვი, ჯიმშერ აკურიანცი—არიან პირველნი „მახარობელნი“ ბურჟუაზიისა საქართველოში.

საუკეთესო ტიპიური წარმომადგენელია მათი მიკირტუმ ტრდატოვი, რომელმაც დამის ხელში ჩაიგდო დიდებულიძეების მთელი ქონება. მიკირტუმს ერთი საგანი აქვს ცხოვრებაში: სულ ფული და ფული, ყველაფერი ფული! ამისათვის არაფერი საშუალება არაა დასაძრახისი. „კტუ ნა სვეტე ჩესნა ბუდით, ბუდით ნასიტ ხლება გუდით“! ამბობს მიკირტუმი. მიკირტუმისთვის არც სამართალი, არც პატიოსნება, არც სინიდისი არ არსებობს. მას უკვირს, როდესაც ივანე დიდებულიძე ეკითხება: „ქრთამი უნდა ავიღოთ“?—„ვა, უპასუხებს: ჩემთვის რომ საქმე ჰქნა, შენი ოჯახისათვის ოცი ოქრო მოგცე—ეს ქრთამია?“ მიკირტუმის შეხედულებით: „დუბაით ნადა კრასავიცა, ფული მოგცეს მეტი ვინცა; თუ არა აქვს ფული ცოლი, უნდა ჭამო ხომ კონწოლი“. ქალის სილამაზეზე უფრო ლამაზი ფულია. უზომოდ თაყვანისმცემელია მიკირტუმი ფულის, მაგრამ იგი მთლად ვერ განშორებია ძველს შეხედულობას და ძალიან უნდა, რომ თავისი ქალი თავადს მიათხოვოს და მის შუშასას გნეინა დაუძახონ, თვითონაც გაეთავადშვილდეს, ხარისხი მოემატოს

ივანე მანასოვი და ჯიმშერ აკურიანცი გუშინ და გუშინწინ უბრალო ქუჩის ბიჭები იყვნენ, მაგრამ დღეს დიდად შეძლებული ვაჭრები არიან, რადგან ალღო აუღეს ახალ ცხოვრებას. ჯიმშერს საკუთარი ცოლი დასცინის: „შენ არ იყავი ნარკიზას ბარგი ვირივით დაჰქონდა. ბაღებში პაყარნების ნასუფრალით რომ ძღებოდი? შენ არ იყავი ხიზილალის ბოჩკაზე რომ გცემესო“? დღეს-ი მასა სახელი მთელმა ევროპამ იცის, იგი „ბლაღურუდნია“, მაგრამ ისეთი „ბლაღოროდნი“-კი არა, როგორიცაა ფეხმოშველი ქართველი აზნაური..

სხვები აფასებენ ფულს, როგორც ყოვლის შემძლებელ საშუალებას, კარაპეტას-კი ფული და ოქრო გაუხდია კერპად და ფული უყვარს, როგორც ფული. ეალერსება ფულს, როგორც საყვარელს არსებას, შვილი არ არის მისთვის ფულისთანა ძვირფასი, იგი თვით ფულს, ოქროს უწოდებს შვილს. სიცოცხლეც კი არ ახსოვს ფულისთვის, მისი არსებობის ძაფი სწყდება ამ ფულთან ერთად.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ გ. ერისთავის დროინდელი მოხელეები, უღვლად უზნეონი, დაცემულნი, უსინიდისონი. მთელი საზოგადოება მათ ხელში იყო და როგორც უნდოდათ, ისე ყვლეფდნენ ყველას. ქრთამი და მოტყუილება მათი სახელმძღვანელო პრინციპი იყო. ერთი დიამბეგი ლაპარაკობს „დავაში“: „თქვენ არ გესმით, ვითარი დიდი მნიშვნელობა აქვს დიამბეგს! თქვენ არ იცით, რომ კეთილდღეობა ერისა არის დაფუძნებული ჩვენსა მხრებსა ზედან! თქვენ არ იცით, რომ ერთ გზის დაწერილი ჩემ მიერ ესრეთ არის მტკიცე და მყარ, ვითარცა ჭეშმარიტება! თქვენ არ იცით, რომ დარღვევა ჩემგან დამტკიცებულის ქაღალდისა არავის ძალუძს“! არა, ყველამ იცოდა ძლიერება დიამბეგის და სხვა მოხელეებისა, რომელნიც საქმეს წაღმაც აბრუნებდნენ და უკუღმაც. ბ გზიატკიძმა „აბრუნდიც, დაბრუნდიც და წაბრუნდიც“ იცოდა, ხოლო ყველაფერი ქრთამზე იყო დამოკიდებული. საზოგადოებას, მცხოვრებლებს არა გაეგებოდათ-რა უცხო, რუსულის კანონისა, და მოხელეებიც უსინდისოდ სარგებლობდნენ ამ უვიცობით..

ასეთია გ. ერისთავის მიერ დახატული საზოგადოება. მეტად უნუგეშო და დამაღონებელია იგი: ირგვლივ სიბნელეა და თუ იქა-აქ ბჟუტავს მცირე სანათლე, მეტად მკრთალად და სუსტად.

კალამი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
10 ოქტომბერი

ლონდონი. 11 ოქტომბერი („რეიტერი“). ორივე არმია ელის ახალ სამხედრო მოქმედებას. განუწყვეტლივ შეტაკებაა სარეზერვო და მოწინავე რაზმებს შორის. ყოველ დღე ზარბაზნების სროლაა. ელიან დიდ ბრძოლას ხუნხეს სამხრეთით, სადაც დიდი სიმაგრეებია აგებული. იაპონელებს დიდი მაშველი ჯარი მოსდით.

ინგლისელ მეთევზეთა გემებისა და რუსის ესკადრის შეტაკების შესახებ იუწყებიან, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ დამატებითი ცნობებით, როცა რუსის ესკადრა წავიდა, ერთი გემი იმ ადგილას დარჩა 9 ოქტომბერს საღამოს ექვს საათამდის და თვალ-ყურს ადევნებდა მეთევზეთა გემებს. სავაჭრო გამგეობამ ბრძანება გასცა, დაათვალიერონ დაზიანებული გემები ზარალის გამოსარკვევად.

ვაშინგტონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი“). კასსინიმ გამოაცხადა, ძლიერ ვწუხვარ ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარ უბედურ შემთხვევის გამო, რომელიც, ჩემის აზრით, გაუგებრობის შედეგიაო. რუსეთს ცნობა მოუვიდა, იაპონელებმა განიზრახეს რუსის ესკადრის განადგურება, სანამ იგი შორ მანძილს გაივლიდა. ამიტომ როჟდესტვენსკის ბრძანება მისცეს, არ მიუშვას ახლოს ესკადრასთან, განსაკუთრებით ღამე, არც ერთი გემი ნაღმის სასროლად საკმაო მანძილზე, გაუფრთხილდეს აგრეთვე ნაღმიან გემებს, რომელნიც სავაჭრო გემების დროშით მოქმედებენ.

პარიზი, 11 ოქტომბერი. გულის ახლოს ინგლისელ მეთევზეთა გემებზე რუსის ესკადრის თავდასხმამ ლონდონში დიდი მღელვარება გამოიწვია. რუსის ელჩმა გამოაცხადა, ეს შემთხვევა უეჭველად რაღაც გაუგებრობის შედეგია, შესაძლებელია, რუსებმა იფიქრეს, ეს გემები იაპონელებს ემსახურებიან და ჩვენ სამტროდ არიან წამოსულნიო. ამ შემთხვევაში გემებს ადვილად შეეძლოთ ახლოს მისულიყვნენ რუსის ესკადრასთან და ნაღმები ესროლათ. თუ დამტკიცდა, რომ მოკლულნი და დაჭრილნი მშვიდობიანი მეთევზეები არიან, ეს უბედური შემთხვევა, ელჩის სიტყვით, დიდად სამწუხაროდ დაურჩება რუსეთსაო.

ლონდონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი“). შუალა არმიიდან იუწყებიან, რომ რუსები 8 ოქტომბერს კვლავ გადავიდნენ შახეს და ამ ჟამად იაპონელთა პოზიციებისკენ მიდიან. რუსის ჯარი წინ მიდის და თან სანგრები გაჰყავს; რუსის არტილერია ისევ ზარბაზნებს უშენს მტრის პოზიციებს. იაპონელები გულმოდგინედ სთხრიან სანგრებს. შახეს ბრძოლაში რუსები დარწმუნდნენ, რომ გაშლილის ფრონტით წინსვლა შეუძლებელია, რადგან იაპონელები შრაპნელებს უშენენ იმათ ჯარს. რუსის ბატარეები ეხლა უფრო დაფარულნი არიან, ვინემ წინად იყვნენ, ამის მიუხედავად, როგორცა სჩანს, ორივე მებრძოლი მხარე ძლიერ არ სცდილობს, რომ თავისი მოძრაობა დაჰფაროს.— ლონდონში ჩრდილოეთის ზღვიდან მოსული მეთევზეთა გემი „სვიფტ“-ი იუწყება, ყველა გემი, რომელიც რუსის ესკადრის მიერ ჩაძირულნი ეგონათ, დაუზიანებელი აღმოჩენილან. გემის „სვიფტი“-ს უფროსმა განაცხადა, ჩემის თვალით ვნახე, როგორ უშენდა ყუმბარას რუსის ოთხი გემი ინგლისელთა გემებსაო.

ბარრი, 11 ოქტომბერი („რეიტერი“). გემ „ესპერანცა“-ს, რომელიც შაბათს საღამოს უნდა წასულიყო ბალტიის ესკადრისათვის დანიშნულ მასალით, დააგვიანდა საქონლის დატვირთვის დროს; დღეს, როცა დატვირთვა დასრულდა, აღმოჩნდა, რომ გემში წყალი შედის· გემის წყალ-ქვეშა ნაწილში ნახვრეტი ნახეს. შეამჩნიეს, რომ გემის მანქანების ქვეშიდან გარედ, წყალში გაყვანილი მილი დაცობილი არ იყო. ამ მილით წყალი შევიდა გემში. წყლის საქაჩავები მოიხმარეს და შესაძლებელია, რომ „ესპერანცა“ დღეს გავა ზღვაში.

შერბურგი. 11 ოქტომბერი („რეიტერი“). ყველა აქ მოსული რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი და ორივე ტრანსპორტი ისევ ზღვაში გავიდა.

ჩიფუ. 11 ოქტომბერი („რეიტერი.“) დალნის ჩინელებმა ხმა გაავრცელეს, ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი ნაღმს წააწყდა და პორტ-არტურის შესავალთან ჩაიძირაო. ციხეში და ქალაქის გარშემო ჯარს მეტად ცივი ამინდი აწუხებს.

კალუგა. გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთში მე-7 სასანიტარო მატარებელი, რომელიც 35 ვაგონისაგან შესდგება. ეს მატარებელი სიზრანოვიაზმას რკინის გზამ გაჰგზავნა.

ტოკიო, 12 ოქტომბერი („რეიტერი“). მესამე სამხედრო სესხი თანაგრძნობით იქმნა მიღებული. ხელის მოწერა დაიწყება ამ კვირაში. მთელი სესხი მარტო ტოკიოში დაიფარება.

მოსკოვი. თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებამ, რომელსაც 29 კაცი დაესწრო, გადასდო 50,000 მან. ჯარებისათვის თბილ ტანისამოსის შესაძენად. 43 თავად-აზნაურობა მიემხრო თავად-აზნაურთა ორგანიზაციას და გამოიტანა ომის საჭიროებისათვის სულ 600,000 მანეთი იმ 1,200,000 მანეთიდან, რომელიც გადადებულია ამ საგნისათვის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 ოქტომბერი

ბერლინი. 11 ოქტომბერი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება ავსტრია-გერმანიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობაზე მოლაპარაკების შესახებ, ეხლა უფრო შესაძლებელია, რომ ხელ შეკრულობა კეთილად დასრულდესო. გაზეთების სიტყვით, მოლაპარაკება, ალბად, ბერლინში განახლდება, სადაც ავსტრიის დელეგატები 18 ოქტომბერს მივლენო.

გომელი. 11 ოქტომბერი. გაიხსნა კიევის სამოსამართლო სხდომა გომელში ებრაელებზე თავდასხმის შესახებ საქმის განსახილველად. 88 ბრალდებულია და 1101 მოწმე.

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. რუსის ელჩს, რომელთანაც ვაშინგტონში „ვორლდ“-ის კორესპონდენტს უსაუბრნია, უთქვამს, არავითარი ცნობა არ მიმიღია რუსეთიდან იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც შეემთხვა ესკადრას მეთევზეთა ფლოტილიასთანაო. ელჩის აზრით, თუ საქმე ისე მოხდა, როგორც გადმოცემულია, უბედურება რაიმე გაუგებრობის მიზეზი იქნებოდა, აგრეთვე იმიტა, რომ როჟდესტვენსკის ნაბრძანები ჰქონდა ძალიან ფრთხილად მოქცეულიყო. რუსეთს აცნობეს, იაპონიას წყნარ ოკეანეს რუსის მეორე ესკადრის დაღუპვა განუზრახავს წყალ-ქვეშ მავალ ნავების და ნაღმიან გემების საშუალებით, რომელზედაც, თვალის ასახვევად, სანეიტრალო სახელმწიფოთა სავაჭრო გემების დროშა იქნება ამართულიო. ალბად, როჟდესტვენსკიც გააფრთხილეს, შეიძლება ღამე თავს დაგესხან იაპონელთა გემებიო. გრაფი კასსინი ფიქრობს, რომ რუსის სამხედრო გემებმა ანიშნეს ინგლისელთა ნავებს, გზიდან ჩამოგვეცალეთო, და რადგან ნავებმა ეს ბრძანება არ აასრულეს, რუსებმა ყუმბარები დაუშინესო.

ლონდონი, 11 ოქტომბერი. გაზეთების სიტყვით, მინისტრთა დღევანდელ ბჭობას მეთევზეთა ფლოტილიაზე თავდასხმის შესახებ ის შედეგი მოჰყვა, რომ ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ წინადადებით მიმართა რუსეთის მთავრობას. მეთევზეთა დაზარალებულ ფლოტილიას ორი გემი დააკლდა.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, 11 ოქტომბერს გამოგზავნილი: „11 ოქტომბერს მტერთან ბრძოლა არ მომხდარა“.

პარიზი, 11 ოქტომბერი. როგორც ვიგოდან იუწყებიან, ფრანგთა გემი და გერმანელთა შვიდი ტრანსპორტი ელიან იქ რუსის მეორე ესკადრას, რომ გადასცენ სურსათი. გაშლილ ზღვაში ბალტიის ესკადრის ნაღმიანი გემები ნახშირით დაიტვირთნენ. შერბურგში მოემზადა წასასვლელად ტრანსპორტი „კიტაი“ და დასავლეთისკენ წავიდა. რუსის ჯავშნიან გემებმა შერბურგის პირდაპირ გაიარეს; არ გაჩერებულან.

ლონდონი. 12 ოქტომბერი. დაჭრილი მეთევზეები დააწვინეს გემზე საავადმყოფოში. როგორც აღმოჩნდა, რუსის ესკადრამ 60 მილით გზას გადაუხვია და დაეჯახა მეთევზეებს. როგორც მოსული მეთევზეები ამბობენ, ზღვაში უნახავთ გემი „ვრენი“. ფიქრობენ, რომ გემი დაზიანებულია და გზა დაებნა ჯანღში. გემი „იზასი“ ესკადრასთან შეხვედრის დროს ჩრდილოეთ მეთევზეთა ფლოტილიასთან იყო. რუსებმა ამ ფლოტილიას გაუარეს. ამასთან უბედურება არა მომხდარარა.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 12 ოქტომბერს: „11 ოქტომბერს ღამე მოხსენებანი ბრძოლის შესახებ არა ყოფილა“.

პეტერბურგი, 12 ოქტ. ამას იქით მიიღებენ თავისუფალ მეომრებს, რომელთა შორის შეიძლება ისეთებიც იყვნენ, რომელნიც სამხედროდ მოუმზადებელნი არიან; ჯარში სამსახურისთვის-კი გამოსადეგნი უნდა იყვნენ. თავისუფალ მეომრების რაზმებს შეადგენენ შემდეგ სამაზრო სამხედრო ბეგრის უფროსების სამმართველოებში: პეტერბურგისა, ვილნოსა, ვარშავისა, კიევისა, ოდესისა, მოსკოვისა, ყაზანისა და ტფილისისა. თითო ადგილიდან უნდა მოიკრიფოს არა უმეტეს 300 კაცისა.

პეკინი, 8 ოქტ. „ტაიმს“-ი იტყობინება: ცნობები ჩინეთის იმ ჯარის შესახებ, რომელიც დიდ კედელსა და მდინარე ლიაოს შუა სდგას, გადამეტებულია. თითო სადგურზე იმყოფება იუანშიკაის ათი ან ოცი კარგად გაწვრთნილი ჯარის კაცი. ამდენივეა თათრების გენერლების ჯარი, მხოლოდ სრულიად გაუწვრთნელია. ჩინეთის გამოჩენილ აფიცრის იუკვანის ჯარიც შეიარაღებულია და ეხლა პიჩეუანში სდგას. ეს ჯარი 10,000 კაცისაგან შესდგება. ჯარის კაცები ცუდად იკვებებიან და ჯამაგირიც რიგზე არ ეძლევათ.

ჩიფუ. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: დალნიდან მოსული ჩინელები ამბობენ, პორტ-არტურის შესავალთან იაპონელების ნაღმიანი გემი ჩაიძირაო. იაპონელების აუარებელი გემები მხოლოდ სურსათის გადმოზიდვას უნდებიან დალნშიო.

შანჰაი, 11 ოქტ. „მორნინგ პოსტ“-ი იუწყება: იაპონელებმა იირლუნგჯანის ფორტების შტურმი დაიწყეს და ამასთან, როგორც ამბობენ, აიღეს ერთი პოზიცია, რომელიც ციხისა და მაღალ გორის შუა იცუშანის დასავლეთით მდებარეობს. ამბობენ, პორტ-არტურის ჰები უკვე იყინებაო.

ხარბინი, 12 ოქტომბერი. უკანასკნელ დღეებში აქ კარგი დარი დადგა. ცოტა ყინვაც არის. დრო გამოშვებით ცივი ქარი ჰქრის. გაუვალი ტალახი გაიყინა. თითქმის შეუწყვეტლივ ისმის ორთქლმავლების სტვენა. მატარებლები განუწყვეტლივ მიდი-მოდიან. ყველგან წითელი ჯვრის ნიშნები სჩანს. მრავალი ჯარის კაცი, სამხედრო და ჰრილობების შესახვევი მასალა ამტკიცებს, რომ ხარბინი არმიის ზურგია. განუწყვეტლივ მოდის ახალი ჯარი. დაჭრილები მოდიან. მათ შორის არიან იაპონელები, რომელთაც დარაჯები უდგანან. სამკურნალო ნაწილი მოწყობილია. ავადმყოფებისა და დაჭრილთა რიცხვი ძალიან დიდია. ქალაქში ბევრი საავადმყოფოა. სადგურზე გამართულ პოდოლსკის წითელ ჯვრის საავადმყოფოში ყოველ დღე 500—600 კაცს უხვევდნენ ჰრილობას. უკანასკნელ დროს მომხდარ ბრძოლების შემდეგ ხარბინში 28,000 დაჭრილი კაცი მოიყვანეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 ოქტომბერი

პეტერბურგი. პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის პროფესორი ვორონოვი ამავე ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა.

სოფია. 11 ოქტომ. ხმებია, ვითომ პორტასთან მოლაპარაკებას ადრიანოპოლის ვილაიეტიდან გადახვეწილების დაბრუნების შესახებ ნამეტანი სიბრაზის კილო ეტყობოდესო; ბოლგარიის მთავრობა ემუქრებოდა, სადიპლომატო აგენტს გავიწვევო.

ბელგრადი. ლიბერალთა კრებამ, რომელსაც დაესწრო 3000 კაცამდე, გადასწყვიტა დაარსოს ნაციონალური პარტია.

მოსკოვი. პიროგოვის საზოგადოება შუამდგომლობს ნება მიეცეს 1906 წლის იანვარში მოახდინოს მეათე კრება.

ბელგრადი. 11 ოქტომბერი. მოხდა ლიბერალთა დიდი მიტინგი. რიბარაცმა წარმოადგინა ლიბერალთა პარტიის მოქმედების ანგარიში და წარსულის მიმოხილვა. ბოლოს რიბარაცმა სთქვა, რომ საჭიროა ახალ საკონსტიტუციო დებულების გამო შეიცვალოს სახელი ლიბერალების პარტიისა და დაერქვას „ნაციონალური“ პარტიაო. დამსწრეთა ნაწილმა წინააღმდეგობა გამოაცხადა. ახალი ნაციონალური პარტია შესდგა. მეთაურად გამოცხადებულია რიბარაცი. აჯკუმოვიჩი, რომელიც გამოირიცხულია ამ პარტიიდან, დარჩება დანარჩენ ლიბერალთა მეთაურად. მეტად გააკვირვა ყველა გარეშე პოლიტიკის გამოქვეყნებულმა პროგრამამ. ეს პროგრამა სრულიად უარჰყოფს ბოლგარიასთან შეთანხმებას და თხოულობს უკიდურეს ნაციონალურ პოლიტიკას და „კბილი კბილისა წილ“ პრინციპის შესახებ იმ სისხლისა, რომელიც სერბიამ დაღვარა მაკედონიაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	6-7 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	91 3/4 გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88 7/8 „
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	414 1/2
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	316 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	267 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	246 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 2 წ.); 32) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ., (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.), 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 3 (2 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტე[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედ[illegible]როვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).
ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტში. და ტფილისს
(60—58)

Дозволено цензурою, 12 октября 1904 г.
სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—სა“.
Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.